



ვამტკიცებ

ბრძ. N01-51; 08.XII.2017წ

შპს ინტერბიზნესის აკადემიის დირექტორი
_____ ი. მანაშერიძე

ცვლილება

დირექტორის ბრძ. N01-09; 15.02.2018 წ

საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიული საბანმანათლებლო პროგრამა

ინფორმაციის ტექნოლოგია

საკონტაქტო: თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. 8
ელ. ფოსტა: info@inrerbusiness.edu.ge
ტელ: 261 54 23; 260 54 23.

პროგრამის ხელმძღვანელი: ალექსანდრე კეკელიძე

თბილისი

2017 წ.

1. **სახელწოდება:** ინფორმაციის ტექნოლოგია/Information Technology
2. **სარეგისტრაციო ნომერი:** რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა -06112-3
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში - Third level vocational qualification in Information Technology Support;

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორში აღნიშნული კვალიფიკაცია შეესაბამება - „ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, მონაცემთა ბაზების, ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება“ (კოდი 0612).

4. **მიზანი:** პროგრამის მიზანია ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა; მოამზადოს პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

5. **დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება

6. **დასაქმების შესაძლებლობები:** ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

ეკონომიკური სახეების ეროვნულ კლასიფიკატორში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს:

- სექცია J – ინფორმაცია და კომუნიკაცია: 62.09.0 საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები;
- სექცია S - სხვა სახის მომსახურება: 95.11 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების შეკეთება; 95.11.0 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების შეკეთება.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO): 3512 Information and Communications Technology User Support Technicians.

7. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

სტუდენტებისთვის რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს** და სწავლის ხანგრძლივობაა 9 სასწავლო თვე (40 კვირა).

მოდულების, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით და **მოცულობა შეადგენს 75 კრედიტს**, სწავლის ხანგრძლივობაა 12 სასწავლო თვე (12+40=52 კვირა);

არაქართულენოვანი პირებისთვის ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება მოხდება ტესტირების საფუძველზე.

8. სტრუქტურა და მოდულები: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 60 კრედიტი, რომელთაგან 16 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 20 კრედიტი არის საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები, 24 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები.

ინფორმაციის ტექნოლოგია (Information Technology)

ზოგადი მოდულები(ჯამურად 16 კრედიტი)

№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება	2
4.	მეწარმეობა 1	საბაზო განათლება	2
5.	სამოქალაქო განათლება	საბაზო განათლება	2
6.	ინგლისური ენა	საბაზოგანათლება	4

საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები(ჯამურად 20 კრედიტი)

№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	საბაზო განათლება	7
2	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	საბაზო განათლება	6
3	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები	საბაზო განათლება	7

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა(ჯამურად 24 კრედიტი)

პროფესიული/დარგობრივი მოდულები

№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	საბაზო განათლება	1
2.	პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	ყველა პროფესიული/დარგობრივი მოდული	6
3.	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა	საბაზოგანათლება	7
4.	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	საბაზოგანათლება	4
5.	დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support	საბაზოგანათლება	6

9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალურიკომპიუტერი;
2. დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემა;
4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
7. გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP, OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10. მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

10. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შპს "ინტერბიზნესის აკადემიის" მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს "ინტერბიზნესის აკადემიის" პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პარტნიორი ორგანიზაციები:

- 1. შპს „მაზერი“; ხელშკ. N03-15; 13.11. 2017წ.
- 2. ი.მ. თამთა აბაზაშვილი. ხელშკ. N03-14; 07.11. 2017წ.

14. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტი - „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი“
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO): 3512 Information and Communications Technology User Support Technicians
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED): 0612 Database and network design and administration
- Cisco IT Essential

14.დანართი №1 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.

15.დანართი N2 -სასწავლო გეგმა;

16.დანართი N 3- ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ:

NN	სახელი, გვარი	მოდული, რომელსაც ახორციელებს	კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება	შენიშვნა
1	ლიანა ბინიაშვილი	მეწარმეობა 1;	ფინანსისტ-ეკონომისტი; ინდ. მეწარმე.	
2	ალექსანდრე კეკელიძე	ინფორმაციული წიგნიერება 1; კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა; კომპიუტერისპროგრამულიუზრუნველყოფა კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები; გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიების	ინჟინერიის დოქტორი	

		<p>მხარდამჭერი; პრაქტიკული პროექტი ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში; კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა.</p>		
3	ანტონ ფუხაშვილი	<p>კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა; კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები; გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდამჭერი; პრაქტიკული პროექტი ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში; კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა. მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები</p>		
4	ცოტნე ქორჩილავა	<p>ინფორმაციული წიგნიერება 1; კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა; კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები; გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდამჭერი; პრაქტიკული პროექტი ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში; კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა.</p>	<p>სტუ-კომპიუტერული ინფორმაციული სისტემების მაგისტრანტი; ინფორმატიკის ბაკალავრი;</p>	
5	ანი ტულუში	<p>ინფორმაციული წიგნიერება 1; მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები</p>	<p>ელექტრონული ინჟინერი</p>	
6	თინათინ კახნიაშვილი	<p>ინგლისური ენა დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support</p>	<p>თარჯიმან-რეფერენტი</p>	
7	სოფიო კაკაურიძე	<p>ინგლისური ენა დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support</p>	<p>განათლების (მართვის) მაგისტრი; ინგლისური ენის ფილოლოგი.</p>	
8	ირინე გეწაძე	<p>ინგლისური ენა</p>	<p>ინგლისური ენის ფილოლოგი</p>	

		დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support	
9	ელენე კაპანაძე	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირება
10	ხატია ჭონქაძე	რაოდენობრივი წიგნიერება	მათემატიკის ბაკალავრი
11	დალი ციხელაშვილი	სამოქალაქო განათლება	იურისტი
12	ელისო ამყოლაძე	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მასწავლებელი
13	ლალი გილიგაშვილი	ქართული ენა A2;	ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

17. XVI. მოდულები

- (დანართი 4) –მეწარმეობა1;
- (დანართი 5)- ინფორმაციული წიგნიერება 1;
- (დანართი 6)- ინგლისური ენა;
- (დანართი 7)– ინტერპერსონალური კომუნიკაცია;
- (დანართი 8) –რაოდენობრივი წიგნიერება;
- (დანართი 9) - სამოქალაქო განათლება
- (დანართი 10)– კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა
- (დანართი 11)-კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა
- (დანართი 12) -კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები
- (დანართი 13)-გაცნობითი პრაქტიკა -ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში;
- (დანართი 14)– პრაქტიკული პროექტი -ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
- (დანართი 15)- კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა;
- (დანართი 16)- მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები
- (დანართი 17)– დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support
- (დანართი 18)-ქართული ენა A2;